ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
განკარგულება

განკარგულება:**g-13. 1323034001**

თარიღი:**03/02/2023**

ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2021-2022 წლებში გაწეული მუშაობის ანგარიშის წარდგენის შესახებ

,,ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ'' საქართველოს ორგანული კანონის 35-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ლ'' ქვეპუქტისა და მე-2 პუქნტის, ,,ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 14 ნოემბრის №1 დადგენილებით დამტკიცებული დანართის (რეგლამენტი) მე-3 მუხლის მე-4 პუნქტის ,,ე'' ქვეპუნქტის შესაბამისად,

1. ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მიერ 2021-2022 წლებში გაწეული მუშაობის ანგარიში შეფასდეს დამაკმაყოფილებლად.

2. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ახალციხის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. ახალციხე, მებაღიშვილის ქ.N60Ა).

დავით ლომიძე

ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მიერ გაწეული მუშაობის ანგარიში 2021 წლის 3 დეკემბრიდან -2022წლის 31 დეკემბრამდე

მოგესალმებით დამსწრე საზოგადოებას, რწმუნებულის ადმინისტრაციას, სამცხე-ჯავახეთის გუბერნატორს ბატონ ბესიკ ამირანაშვილს, გუბერნატორისპირველ მოადგილეს დავით ვარდიაშვილს, საქართველოს პარლამენტის მაჟორიტარ წევრს -ახალციხე-ადიგენი - ასპინძა -ბორჯომის მუნიციპალიტეტებში ბატონ ანტონ ობოლაშვილს, ქალაქის მერს ირაკლი ლაზარაშვილს, დიდი მადლობა ყველას მობრძანებისთვის და იმ მაღალი ინტერესისთვის, რომელიც გამოიჩინეთ საკრებულოს ანგარიშის მიმართ.

ჩვენთვის ერთ-ერთი მთავარი დეკლარირებული პრიორიტეტი გახლავთ ანგარიშვალდებულება და ღია მმართველობა.

საკრებულოს წევრების უმრავლესობამ უკვე წარუდგინა მოსახლეობას ანგარიში, ამიტომ დღევანდელი დღე შეიძლება ჩაითვალოს ერთგვარ შეჯამებად.

ადგილობრივ თვითმმართველობას განსაკუთრებული ადგილი უკავია მმართველობის სისტემაში, რადგან იგი წარმოადგენს მოსახლეობასთან ყველაზე ახლოს მდგომ ხელისუფლებას.

საკრებულო, როგორც პოლიტიკის განმსაზღვრელი და ნორმების დამდგენი ორგანო, ვალდებულია განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა მის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა ჯეროვან შესრულებაზე. სწორედ აქედან გამომდინარე, ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის'' თანახმად, აღმასრულებელი ორგანო ანგარიშვალდებულია საკრებულოს წინაშე.

საკრებულო, როგორც თვითმმართველი ერთეულის ძირითადი პოლიტიკური ორგანოს ხელმძღვანელობა, განაპირობებს ჩემი, როგორც საკრებულოს თავმჯდომარის პოლიტიკური თანამდებობის პირის სტატუსს, ხოლო ნდობის მაღალი მანდატი განპირობებულია მოსახლეობის და შემდეგ უკვე საკრებულოს წევრების მხრიდან გამოცხადებული ნდობით და დაკისრებული პასუხისმგებლობით.

თუ როგორ შევძელით კანონით გათვალისწინებული უფლებამოსილების განხორციელება, წარმოგიდგენთ მოკლე ანალიზს 2021 წლის 3 დეკემბრიდან დღემდე.

,,საქართველოს საარჩევნო კოდექსის'' მიხედვით გაიზარდა საკრებულოს წევრთა შემადგენლობა წინა მოწვევის საკრებულოში იყო 33 დეპუტატი ამჟამად არის 39 დეპუტატი.

2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შედეგად, საკრებულოში წარმოდგენილია 4 პოლიტიკური პარტია:

,,ქართული ოცნება დემოკრატიული საქართველო" – 28 დეპუტატი
,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" – 8 დეპუტატი
,,გახარია საქართველოსთვის" -2 დეპუტატი
ევროპული საქართველო - მოძრაობა თავისუფლებისათვის -1 დეპუტატი.
39 დეპუტატიდან 11 ქალია, მათ შორის 5 თანამდებობის პირია.
ამჟამად საკრებულოში 3 ფრაქციაა:

- ,,ქართული ოცნება დემოკრატიული საქართველო'' -25 წევრი

- ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" – 6 წევრი
- ,,ახალციხე საქართველოსთვის" -3 წევრი

ხოლო საკრებულოს 4 დეპუტატი უფრაქციო წევრია.

საანგარიშო პერიოდში ჩატარდა:

- საკრებულოს რიგითი სხდომა 18 (მათ შორის 2 რიგგარეშე)
- საკრებულოს ბიუროს სხდომა 14

მიღებულ იქნა საკრებულოს:

- ინდივიდუალური სამართლებრივი აქტი - 78 განკარგულება
- საკრებულოს ნორმატიულ ადმინისტრაციული - სამართლებრივი აქტი -53 დადგენილება
- გამოიცა საკრებულოს თავმჯდომარის ინდივიდუალური-ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტი - 191 ბრძანება
  შემოსული კორესპონდენციის რაოდენობა - 417 წერილი
  გასულია - 587 წერილი.

საკრებულოში ფუნქციონირებს 5 კომისია:

- საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისია (თავმჯდომარე მარიამ გოგოლაძე)
  - ჩატარდა 14 სხდომა, განხილულია 62 საკითხი, გამოცემულია 49 დასკვნა

- საკრებულოს საფინანსო - საბიუჯეტო კომისია (თავმჯდომარე ვლადიმერ კურტანიძე)
  - ჩატარებულია 8 სხდომა, განხილულია 21 საკითხი, გამოცემულია 15 დასკვნა
- საკრებულოს სოციალურ საკითხთა, კულტურის, განათლების, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა კომისია (თავმჯდომარე ნინო მიქაბერიძე)
  - ჩატარებულია 11 სხდომა, განხილულია 20 საკითხია გამოცემულია 14 დასკვნა

- საკრებულოს მუნიციპალური ქონების მართვის ბუნებრივი რესურსების და აგრარულ საკითხთა კომისია (თავმჯდომარე ზოია ბალიაშვილი)
  - ჩატარებულია 11 სხდომა, განხილულია 28 საკითხი და გამოცემულია 28 დასკვნა
- ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის (კომისიის თავმჯდომარე ნოდარი ტალახაძე)
  - ჩატარებულია - 11 სხდომა, განხილულია -16 საკითხი გამოცემულია - 13 დასკვნა

მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურის განვითარების საკითხებში საკრებულომ მხარდაჭერა გამოხატა:

- დასაფინანსებელი პროექტების,
- რეგიონალური ფონდის საპილოტე რეგიონების განვითარების პროგრამის,
- საგზაო ინფრასტრუქტურას, სანიაღვრე ქსელის მოწესრიგების ,
- ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარების,
- სპორტული ინფრასტრუქტურის,
- გამწვანების რეკრეაციული საკითხების,
- მუნიციპალური ტრანსპორტის უზრუნველყოფის საკითხების მიმართ.

მოკლედ მინდა გამოვყო ის ძირითადი საკითხები, რომელიც საკრებულომ განიხილა:

დადგენილებები:

- დამტკიცდა ახალციხის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტი და შეტანილი ცვლილებები;
- დამტკიცებულ იქნა მერიისა და მისი სტრუქტურული ერთეულების დებულებები;
- დამტკიცდა ახალციხის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესი;
- მიღებულ იქნა ქალაქ ახალციხის ტერიტორიაზე სასაფლაოების მოწყობისა და მოვლა-პატრონობის წესი;
- დამტკიცდა ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითრების ხელშეწყობის პროგრამის განსახორციელებლად გათვალისწინებული თანხების განკარგვის და ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების აღრიცხვის წესი;
- დამტკიცდა ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან არსებული საზოგადოებრივი დარბაზის დებულება;
- დადგინდა ახალციხის მუნიციპალიტეტში სახელმწიფო და საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასი;
- დამტკიცდა და განისაზღვრა ახალციხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით გადაცემისას ქირის საწყისი საფასური;
- დამტკიცდა ახალციხის მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის, პირობებიანი და უპირობო ელექტრონულ აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმის ფორმები;
- დამტკიცდა ახალციხის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტიდან საგანმანათლებლო, კულტურული და სპორტული პროგრამების ფარგლებში ფულადი საჩუქრის გაცემის წესი;
- დამტკიცდა ახალციხის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტი;
- მიღებული იქნა ახალციხის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესი;

განკარგულებები:

- მიღებულ იქნა მუნიციპალური ააიპების შერწყმის, ახალი ააიპების დაფუძნებისა და წესდების დამტკიცების თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ განკარგულებები;
- ,,ახალციხის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს შექმნის შესახებ'' განკარგულება;

- განხილული და მიღებულ იქნა ახალციხის მუნიციპალიტეტში, მათ შირის სოფლებში მდებარე, სახელწოდების არმქონე გეოგრაფიული ობიექტებისათვის სახელის მინიჭების თაობაზე განკარგულებები; აღნიშნულთან დაკავშირებით, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში გამართულ შეხვედრაზე, იუსტიციის სამინისტროს წარმომადგენელმა განსაკუთრებით აღნიშნა, რომ ახალციხის მუნიციპალიტეტი ერთ-ერთი პირველია საქართველოში, სადაც სახელწოდების არმქონე ქუჩებს, კერძოდ სოფლებში, მიენიჭა სახელი;
- მოსმენილ იქნა მერიის სტრუქტურული ერთეულების მიერ გაწეული მუშაობის ანგარიშები
- მოსმენილი და განხილული იქნა ინტერმუნიციპალური და მუნიციპალური ა(ა)იპ-ების მიერ გაწეული საქმიანობის ანგარიშები;

2022 სამუშაო წლის განმავლობაში საკრებულო აქტიურად თანამშრომლობდა მასმედიასთან, არასამთავრობო ორგანიზეციებთან, სკოლებთან სამცხე-ჯავახეთის უნივერსიტეტთან, როგორც ინფორმაციოული ისევე ერთობლივი პროექტების განხორციელების მიმართულებით.

სისტემატიურად შუქდებოდა საკრებულოს ყველა სხდომა, როგორც ადგილობრივ საინფორმაციო საშუალებებით ასევე სოციალურ ქსელში, საკრებულოს ოფიციალურ ფეისბუქ გვერდზე.

მუნიციპალიტეტის ვებ.გვერდზე სისტემატიურად ხდება საკრებულოს მიერ მიღებული ნორმატიული და ადმინისტრაციული სამსართლებრივი აქტების - დადგენილებების და განკარგულკებების გამოქვეყნება.

აღსანიშნავია, რომ საანგარიშო პერიოდში, საკრებულოში შემოსულია 2 პეტიცია ,,საერთაშორისო გამჭვირვალობა -საქართველოს" ახალციხის რეგიონალური წარმომადგენლის მიერ, რომელიც ეხებოდა მუნიციპალური ტრანსპორტის განვითარების საკითხს და ქალაქ ახალციხეში იაძის ქ. N 12-ში მდებარე სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების დემონტაჟს და ახლის აშენებას. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ აღნიშნულ საკითხებზე მერიას, მის შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს უკვე დაწყებული ქონდა მუშაობა. პეტიციის მოთხოვნა საკრებულოს მიერ დაკმაყოფილდა.

საკრებულოში აგრეთვე შემოსულია 18 მოთხოვნა საჯარო ინფორმაციის გაცემასთან დაკავშირებით, შესაბამისად ყველა მოთხოვნა დაკმაყოფილდა კანონით გათვალისწინებულ ვადაში. საჯარო ინფორმაციის გამოთხოვის თაობაზე მოგვმართეს როგორც სამთავრობო ასევე არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებმა:

- საქართველოს პარლამენტი,
- ახალგაზრდა იურიუსტთა ასოციაცია,
- მედია სახლი ,,სამხრეთის კარიბჭე'',
- საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო,
- მედიაკომპანია ,,მთის ამბები'',
- ,,საქართველოს მედიაკლუბი'',
- ცხოველთა და გარემოს დაცვის ორგანიზაციები...

რადგან საკრებულო კოლეგიალური ორგანოა მე, როგორც თავმჯდომარემ, შევეცადე ყველა გადაწყვეტილება მიმეღო საკრებულოს წევრთათვის პროექტების დროულად გაცნობის, კონსულტაციებისა და აზრის თავისუფალი გამოხატვის გზით. ჩვენთვის, თითოეული კოლეგის აზრი მნიშვნელოვანია დემოკრატიული პრინციპების გათვალისწინებითა და მოსახლეობის ინტერესებზე დაყრდნობით, კამათით მსჯელობით მივდიოდით კონსესუსამდე. სწორედ, 2022 წლის ერთ-ერთი

კარგი პროექტი ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან საზოგადოებრივი დარბაზის შექმნაა, რომელიც აერთიანებს 60 მოქალაქეს, (რომელთა წარმომადგენლობა დღეს აქ იმყოფება, სასიხარულოა ისიც რომ მათი რიცხვი იზრდება.

აქვე მინდა აღვნიშნო, რომ მათთან ერთად შევძელით მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის პროექტის საჯარო განხილვა, რამაც საშუალება მოგვცა მოსახლეობასთან ერთად რეალობასთან მიახლოებული ბიუჯეტი მიგვეღო.

მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტი 2022 წლის ბიუჯეტთან შედარებით 9 მილიონით გაიზარდა და შეადგინა 30 მილიონი ლარი. მაგრამ, მთავრობის შესაბამისი განკარგულებით რეგიონში განსახორციელებელი პროექტების ფონდის და სოფლის მხარდაჭერის პროგრამის თანხები კიდევ გაიზარდა 16 610 000 ლარით და ბიუჯეტი გახდა 46 610 000ლარი.

იგეგმება აღნიშნული ბიუჯეტის ფარგლებში, მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი ძირითადი პროექტები:

1. ასპინძის ქუჩის საავტომობილო გზის და სანიაღვრე კოლექტორის რეაბილიტაცია 578771 ლარი;
2. სოფელ ტყემლანაში გზის რეაბილიტაცია 1 130 751 ლარი;
3. ყაზბეგის ქუჩის რეაბილიტაცია 455 000ლარი;
4. ვალეში მაჭარაშვილის ქუჩის რეაბილიტაცია 1211000 ლარი
5. ყაზბეგის ქუჩაზე მილხიდის მოწყობა 431000;
6. სოფელ მუგარეთში შიდა საავტომობილო გზის რეაბილიტაცია 523 301
7. გიორგიწმინდისა და ფერსის დამაკავშირებელი ზედა გზის რეაბილიტაცია 390 171 ლარი

   მეტად მნიშვნელოვანია მოსახლეობისათვის იცოდნენ, რომ 2021-2022 წლებში კერძო ინვესტიციებისათვის სამშენებლო ნებართვები გაიცა 42 სუბიექტზე.

   ესენია: ავტო სერვისი, სამაცივრე საწყობები, ავტო გასამართი სადგური, საბანკეტო დარბაზი, რესტორანი, სასტუმრო, სპორტული კომპლექსი, ყველ-კარაქის ქარხანა, საცხოვრებელი კორპუსი და სხვა კომერციული ობიექტები. მათი მშენებლობა ძირითადად მიმდინარეობს რუსთაველის ქ. N 124 -ში, ბექა ჯაყელის ქუჩებზე, სოფელ კლდის ცენტრალური ქუჩის მიმდებარედ და სოფელ ჭაჭარაქის ცენტრალური გზის მიმდებარედ.

ორიოდე სიტყვით მინდა ტურიზმთან დაკავშირებით მოგახსენოთ (ეს მონაცემები ა(ა)იპ ახალციხის ციხის ადმინისტრაციის მიერაა მოწოდებული) სულ 2022 წელს შემოვიდა 91 240 ტურისტი, აქედან უცხოელი ვიზიტორი იყო - 41 016, საქართველოს მოქალაქე 50 224.

ვიზიტორების შემოსვლის შედეგად შემოსულმა თანხამ შეადგინა 1 105 000 ლარი.

2022 წელს პანდემიიდან გამომდინარე მერია ა(ა)იპ ახალციხის ციხეს დოტაციის სახით 442 000 ლარით აფინანსებდა, ხოლო 2023 წლის ბიუჯეტში უკვე აღნიშნული დოტაცია შემცირდა 200 000 ლარით.

წელს იგეგმება მთელი რიგი ღონისძიებები, რომელიც რეალურად გაზრდის ტურისტების რაოდენობას, კერძოდ:

ა(ა)იპ ახალციხის ციხეს თავის მხრივ განახორციელებს საინფორმაციო მასალების დაბეჭდვა და გავრცელებას. ასევე 2023 წელს გეგმავს საერთაშორისო ტურისტულ გამოფენებში მონაწილეობის მიღებას. 50-ზე მეტ ტურისტულ კომპანიასთან

მიმდინარეობს ხელშეკრულებების დადების პროცესი, რათა მათ მიერ მოხდეს ტურისტული ჯგუფების ორგანიზებულად შემოყვანა.

არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ ჩვენს მუნიციპალიტეტში ყველა პირობა იქნება იმისთვის, რომ ახალგაზრდები იყვნენ ჩართული ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციის მიზნით განხორციელებულ ღონისძიებებში.
2021-2022 წლებში რეაბილიტაცია ჩაუტარდა მუნიციპალიტეტში არსებულ ფეხბურთის 9 მინი სტადიონს. ხელოვნური ტბის მიმდებარედ მოეწყო კალათბურთის, ფეხბურთისა და ჩოგბურთის მოედნები.
ამ ეტაპისთვის მიმდინარეობს 4 მინი სტადიონის რეაბილიტაცია (ქ.ახალციხე ტაბიძის ქუჩა, ქ.ახალციხე რუსთაველის ქუჩა, სოფელი სხვილისი, იგეგმება სოფელ ზიკილიაში), რუსთაველის ქ. N 124-ში ახალგაზრდული ცენტრის და სპორტული კომპლექსისთვის საჭირო ინვენტარით მოწყობა მიმდინარეობს.
საცურაო აუზის და სპორტული კომპლექსის სამშენებლო სამუშაოები, უახლოეს მომავალში განახლდება.
ააიპ ახალციხის მუნიციპალიტეტის სპორტულ გაერთიანებაში ფუნქციონირებს 14 ჯგუფი, სპორტის სხვადასხვა სახეობაში.
მისასალმებელია, რომ მერიამ საკრებულოში შემოიტანა საკითხი, წარმატებული სპორტსმენებისთვის ფულადი საჩუქრის გადაცემის თაობაზე.
არ შეიძლება ამ ყველაფერმა შედეგი არ გამოიღოს და ჩვენს მუნიციპალიტეტსაც ჰყავდეს მსოფლიო, ოლიმპიური და ევროპის ჩემპიონები.

მუნიციპალიტეტის ჯანდაცვისა და სოციალური პროგრამის შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობამ (საკრებულოს წევრთა მიერ საჯარო განხილვების, ვებ გვერდისა და სოციალური ქსელების საშუალებით) მაქსიმალურად გაზარდა ბენეფიციართა რაოდენობა და ჯამში შეადგინა 12 108 ბენეფიციარი.

2023 წლის სოციალური გაცემის წესში შესულია შედეგი ცვლილებები

<u>ჯანდაცვის პროგრამები:</u>

- **სამედიცინო-სადიაგნოსტიკო გამოკვლევების,** ქრონიკული დაავადებებისა და **გაფანტული სკლეროზის დიაგნოზის** მქონე პირების მკურნალობის დაფინანსება გაიზარდა 2021 წელტან შედარებით, რა თქმა უნდა სოციალურად დაუცველი ოჯახების სარეიტინგო ქულების მიხედვით.

- სპეციალური საჭიროების მქონე ბავშვთა რეაბილიტაციის პროგრამით გათვალისწინებული დაფინანსება 1800 ლარის ნაცვლად გაიზარდა 2000 ლარით.

<u>სოციალური დახმარების პროგრამები:</u>

- სოციალური დახმარება ახალშობილთა ოჯახებისთვის დაფინანსება ყველა ახალშობილზე გაიზარდა 50 ლარით;
- 0-დან 1 წლამდე ასაკის ბავშვთა ხელოვნური კვების/ჰიგიენური მოვლის საშუალებების დაფინანსება 80 ლარის ნაცვლად გაიზარდა 150 ლარით;
- უსახლკაროთა და მიუსაფართა საცხოვრებელი ფართის ქირავნობის თანხა 250 ლარის ნაცვლად გახდა 300 ლარი;

- შეჭირვებული მოსახლეობის სოციალური დახმარება 120 ლარის ნაცვლად განისაზღვრა 150 ლარით, ამავე მუხლს დაემატა სოციალურად დაუცველის სტატუსის არმქონე ღარიბი/ღატაკი, ბავშვიანი ოჯახების კატეგორია, რომელიც არ იყო გათვალისწინებული 2022 წლის გაცემის წესში;
- იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა სოციალური დახმარების მუხლს დაემატა ლტოლვილთა და ჰუმანიტარული სტატუსის მქონე ოჯახების კატეგორია და აღნიშნულ მუხლში გათვალისწინებული დახმარება 120 ლარის ნაცვლად გახდა 150 ლარი.

გენდერული საბჭოს სხდომაზე გამოიკვეთა აზრი იმის შესახებ, რომ ,,დემოკრატ ქალთა'' არასამთავრობო ორგანიზაციას აქვს ქალთა სკრინინგის, კერძოდ მამოგრაფიის თანამედროვე აპარატურა.
საკრებულოს დეპუტატების მეშვეობით, დაიწყო პროცესი და გავუწიეთ რეკომენდაცია მუნიციპალიტეტში მაცხოვრებელ მანდილოსნებს, რათა პრევენციის მიზნით, ზემოთ ხსენებული არასამთავრობო ორგანიზაციის მეშვეობით, ჩაეტარებინათ მამოგრაფიული კვლევა.
307 ქალბატონმა გაიარა კვლევა, აქედან 67 პაციენტს დაჭირდა დამატებითი კვლევა და სამწუხაროდ თოთხმეტს აღმოაჩნდა ეს ვერაგი ავადმყოფობა.
მისასალმებელია, რომ მერიას გააჩნია სპეციალური პროგრამები დაფინანსების მხრივ, რომლითაც უკვე სარგებლობენ ამ დიაგნოზის მქონე ავადმყოფები.

აქვე, მოკლედ მოგახსენებთ მუნიციპალიტეტში სოფლის მეურნეობის პროგრამების თაობაზე:
დანერგე მომავალი (ბაღების კომპონენტი) - ისარგებლა 2 ბენეფიციარმა, გაშენდა 4,5 ჰა ჟოლოსა და 1 ჰა კაკლის ბაღები

დანერგე მომავალი (კენკროვნების კომპონენტი) - ისარგებლა 7 ბენეფიციარმა გაშენდა 3 ჰა -მდე ჟოლოსა და მაყვალის ბაღები

სასოფლო -სამეურნეო მექანიზაციის თანადაფინანსების სახელმწიფო პროგრამა - ისარგებლა 17 ბენეფიციარმა, შეძენილ იქნა ტრაქტორები და სხვადასხვა სახეობის აგრეგატები (გუთანი, ფრეზი, კულტივატორი და სხვა)

მოსავლის ამღები სასოფლო -სამეურნეო ტექნიკის თანადაფინანსების სახ. პროგრამა - ისარგებლა 24 ბენეფიციარმა შეძენილ იქნა სხვადასხვა აგრეგატები (პრესი, კარტოფილის ამღები, სათიბელა და სხვა)

შეღავათიანი აგროკრედიტით -450 -მდე ბენეფიციარმა ისარგებლა შეღავათიანი აგროკრედიტით (7 500 000ლარი)
გადამამუშავებელი და შემნახველი საწარმოების თანადაფინანსების პროექტი- ისარგებლა 1 ბენეფიციარმა -შენდება სამაცივრე მეურნეობა.

აგროდაზღვევის პროექტით ისარგებლა 70-მდე ბენეფიციარმა, დაზღვეული იყო 90 - ჰა სასოფლო -სამეურნეო სავარგულის ნათესები.

ტექნიკური დახმარების პროგრამით -ისარგებლა 2 სასოფლო -სამეურნეო სტატუსის კოოპერატივმა -შეიძინეს აღჭურვილობა

სასოფლო -სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების მესაკუთრეთა ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამა -0,25 ჰა -1,25 ჰა მიწის მფლობელებს დაერიცხათ აგროქულები.

გაგაცნობთ სახელმწიფო პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ მიკრო და მცირე მეწარმეობის ნაწილის ახალციხის მუნიციპალიტეტის 2022 წლის სტატისტიკას

ეტაპი	რაოდენობა	ქალი	გრანტის თანხა
მიღებული ბიზნესიდეები	455	192	8,911,727
მიღებული ბიზნესგეგმები	150	69	2,979,997
დაფინანსებული პროექტები	64	25	1,248,211

2023 წელში სასურველი იქნება ჩვენი ძალისხმევით უფრო მეტი ბენეფიციარი ჩაერთოს აღნიშნულ პროგრამებში.
აქვე მინდა ერთ საკითხზე გავამახვილო ყურადღება. მოგეხსენებათ, ქალაქ ახალციხეში, ყოფილი ეგრეთ წოდებული ,,მესაზღვრეების'' ტერიტორია, რომელიც ქალაქის ცენტრში მდებარეობს და მისი მთლიანი ფართი- თავისი ინფრასტრუქტურით, შეადგენს 9 ჰექტარს, წლების განმავლობაში ნადგურდებოდა.

ბატონი ვლადიმერ ზედგინიძე, ყოფილი ქალაქ ახალციხის მერი, დამეთანხმება, გასული წლების განმავლობაში რამდენი მოთხოვნა იქნა გაგზავნილი, რომ ეს ტერიტორია გადმოსულიყო მუნიციპალიტეტის ბალანსზე, მაგრამ ყოველი მცდელობა იყო უშედეგო. მხოლოდ მაშინ მივაღწიეთ შედეგს, როდესაც ჩვენი მხარის გუბერნატორი ჩაერთო ამ საკითხის მოგვარებაში. შედეგი სახეზეა, აღნიშნული ტერიტორია გადმოეცა მუნიციპალიტეტს და ამ ეტაპზე მიმდინარეობს რამდენიმე ინფრასტრუქტურული პროექტი, ზოგი განხორციელების პროცესშია ზოგი კი იგეგმება 2023 წლისთვის. ინფრასტრუქტურული პროექტების მთლიანმა თანხამ შეადგინა 5 825 329 ლარი, აღნიშნულ ტერიტორიაზე მიმდინარეობს შპს ახალციხე ინნ სასტუმროს მშენებლობა 13 000 000 ლარის ოდენობით, შპს ,,ასტორია“ ხუთსართულიანი საცხოვრებელი კორპუსის მშენებლობა, რომლის ღირებულებაა 3 500 000 ლარი, აგრეთვე იგეგმება თანამედროვე სტანდარტების სკოლის მშენებლობა - საქართველოს პრემიერ-მინისტრის ბატონი ირაკლი ღარიბაშვილის მიერ ინიცირებული პროექტის ,,800 საჯარო სკოლის რეაბილიტაციის და მშენებლობის'' ფარგლებში.
ეს იმას ნიშნავს, რომ ქალაქის განვითარებას პერსპექტივა მიეცა.

ბატონ ბესიკ ამირანაშვილს მადლობა იმისთვისაც, რომ დაიდგა გიორგი ბრწყინვალის მონუმენტი, ხოლო მოედანს სადაც მონუმენტია განთავსებული კი გიორგი ბრწყინვალის სახელობის მოედანი ეწოდა.
ცენტრალურ სკვერში დაიდგა სამშობლოსათვის თავდადებულ გმირთა ულამაზესი მემორიალი.
,,განახლებული რეგიონის ფარგლებში'' საგრძნობლად გალამაზდა ახალციხის ცენტრალური ქუჩები და შენობის ფასადები.
გამწვანებას 2022 წელს დიდი ყურადღება დაეთმო, შედეგიც სახეზეა ამ კუთხით, 2023 წელს კიდევ უფრო აქტიურად გაგრძელდება ამ საკითხზე მუშაობა.

მადლობა მინდა გადავუხადოთ, ბატონ ანტონ ობოლაშვილს, საქართველოს პარლამენტის მაჟორიტარ წევრს -ახალციხე-ადიგენი - ასპინძა -ბორჯომის მუნიციპალიტეტებში.

ბატონი ანტონი აქტიურადაა ჩართული მუნიციპალური განვითარების საქმეში, იქნება ეს ინფრასტრუქტურული, მელიორაციის, გაზიფიკაციის საკითხები, სტუდენტების დახმარების საკითხები თუ სხვა. მუნიციპალიტეტის მოსახლეობას სისტემატიურად უწევს დახმარებას ჯანდაცვისა და სოციალური პრობლემების გადაწყვეტაში.

აღსანიშნავია, რომ უკვე მესამე წელია ,,წიგნიერების აქციის" კვირეულის ფარგლებში სამცხე ჯავახეთის რეგიონის სკოლებს მაღალი დონის კლასიკური მხატვრული ლიტერატურა საჩუქრად გადაეცემა.

მინდა ავღნიშნო, რომ მისი ბიუროს თანამშრომლები, ესწრებიან საკრებულოს ყველა სხდომას, აქტიურად თანამშრომლობენ და მონაწილეობენ სხვადასხვა აქტივობებში საკრებულოს წვერებთან ერთად, სისტემატიურად ესწრებიან მოსახლეობასთან შეხვედრებს, კულტურულ და სპორტულ ღონისძიებებს.

და ბოლოს, მადლობა მინდა გდავუხადო ჩემს კოლეგებს, საკრებულოს წევრებს, საკრებულოს აპარატს და თითოეულ თანამშრომელს, რომლებიც პროფესიონალიზმითა და პასუხისმგებლობით ასრულებენ დაკისრებულ მოვალეობას.

კომისიის თავმჯდომარეებს, მინდა მადლობა გადავუხადო, რადგან იმ ძირითადი საკითხების გადაწყვეტა, რომელიც მე ვახსენე ჩემს გამოსვლაში უმეტესად მათი დამსახურებაა.

საკრებულოს თავმჯდომარის პირველ მოადგილეს დავით ტაბატაძეს, მოადგილეებს ამბარცუმ ბაბოიანს და საბა კბილაშვილს, ისინი აქტიურად ხელმძღვანელობენ თავიანთ სფეროებს და იმედი მაქვს 2023 წელს ამ შემადგენლობით უფრო მეტს შევძლებთ,

აუცილებელია საკრებულომ უფრო გააქტიუროს, მის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა ჯეროვან შესრულებაზე მეტი კონტროლი და ზედამხედველობა.

მუნიციპალიტეტში კვლავ ბევრი პრობლემა რჩება მოსაგვარებელი, მაგრამ იმედი მაქვს, აღმასრულებელ ხელისუფლებასთან, ასევე მოსახლეობასთან აქტიური თანამშრომლობით, შევძლებთ ამ პრობლემების მოგვარებას.

გმადლობთ ყურადღებისთვის!

საკრებულოს თავმჯდომარე- **დავით ლომიძე**